№ 142. ივლისის 3, სამშაბათი. 1866—1884 ივლისის 3, სამშაბათი. № 142.

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე [illegible] კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთ

„დროებაზე“

ნახევარის წლით

ივლისის 1-დამ წლის დამლევამდე

ფასი ხუთი მანათი

სოფლის მასწავლებელთათვის

ოთხი მანათი.

დრამატიული საზოგადოების წევრნი

მოწვეულნი არიან ხუთშაბათს, ივლისის 5-ს საღამოს 7 საათზედ, „წერა-კითხვის საზოგადოების“ ზალაში (სიმონსონოვის ქუჩა, ნაზაროვის სახლი) საზოგადო კრებაზედ ახალი გამგეობის ამოსარჩევად, რადგან ხუთშაბათს ივნისის 28-ს ამორჩეულ გამგეობის ზოგიერთა წევრთა უარი სთქვეს თავიანთ თანამდებობაზედ. (3—1)

უწინდელ შვეიცარიის რესტორაციაში, თავად მუხრანსკის სახლში, გოლოვინის პროსპექტზე ისყიდება იაფად

ყინული

ფუთობით და ერთიანადაც შაურ ნაკლებ სხვის ყინულზე და იაფადაც. მყიდველს შეუძლია იკითხოს დიდ ზურაბოვის მაღაზიაში. (3—2)

## ხიზნების საქმის გამო.

თბილისი, ივლისის 3-ს.

იმ საქმეს, რომელმაც შესამჩნევად აალაპარაკა ჩვენი თავად-აზნაურობა ამ გაზაფხულზედ და რომელსაც ხიზნების საქმეს ეძახიან, როგორც იმის, ბოლო მალე მოეღება, რადგან საგლეხო დაწესებულებას თავისი აზრი შეუდგენია და წარუდგენია კიდეც, სადაც ჯერ არს.

ეს აზრი ავად თუ კარგად სპობს იმ დამოკიდებულებას, რომელმაც ამ ბოლოს დროს შეაწუხა როგორც მებატონე, ისე ხიზანი და სხვა-და-სხვა უკმაყოფილებით კეთილ-განწყობილება დაარღვია.

საგლეხო დაწესებულების შეხედულობით, ხიზნებად არ უნდა ჩაითვალნონ ის გლეხნი, რომელნიც ახალს ადგილზე გადმოსახლებულან ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ (1864 წ.). ამას გარდა, არ უნდა ჩაითვალნონ ხიზნებად ისინი, რომელნიც, თუმცა ბატონ-ყმობის წინად გადმოსახლებულან, მაგრამ ძველ სამოსახლო ალაგზე უძრავი კუთვნილება (მამული) აქვთ. მაშასადამე, რჩება ძალიან მცირე რიცხვი ხიზნებისა, რომელთაც არაფერი არა აქვთ-რა უწინდელს ალაგზე და ამას გარდა ბატონ-ყმობის წინადაც გადმოსახლებულან. ამ «ნამდვილ» ხიზნებს, საგლეხო დაწესებულების აზრით, უნდა მიეზომოთ მიწა, მიეცეთ «ნადელი» ჩვეულებრივს წესზედ. დანარჩენებს კი, რომელნიც თითქო ხიზნებიც არიან და არც თუ ხიზნები, მიეცემათ ორის წლის ვადა მებატონესთან მოსარიგებლად. თუ მორიგება მოხდა და ეს ხიზნები იჯარადრის წესზედ დარჩებიან მამულზედ,—ხომ რა კარგი, თუ არა და გლეხ-კაცი წაიღებს თავის მოძრავ ქონებას და უძრავი ქონებისაც ნახევარფასი მიეცემა. ზოგნი ამბობენ, რომ ეს ყველაფერი მაშინ მიეცემა ხიზანს, თუ მებატონემ ძალა დაატანა და მამულიდამ დაითხოვა და თუ ხიზანი თავისით მოინდომებს აყრას, მაშინ სრულიად ხელ-ცარიელი უნდა გავიდეს მამულიდამაო. ჩვენა გვგონია, რომ ამ უკანასკნელს დამატებას სრულიად მნიშვნელობა არა აქვს-რა, რადგან, რაკი მებატონე და ხიზანი ერთმანეთში ვერ მორიგდენ, ძნელია კაცმა სთქვას, რომელი იყო მათში დამნაშავე და, მაშასადამე, როგორ უნდა გავიდეს გლეხ-კაცი მამულიდამ: წაიღოს მოძრავი და ნახევარ-უძრავი ქონება, თუ მარტო თავის მარჯვენის ანაბარას დარჩეს. ამ გვარი გამოურკვეველი კანონი ყოველთვის უკმაყოფილებას გამოიწვევს და არა გვგონია, რომ კანონმდებლობამ ესეთი წყარო უკმაყოფილებისა ხელ-უხლებელი დასტოვოს.

სრულიად საფუძვლიანია ის გარდაწყვეტილება საგლეხო დაწესებულებისა, რომლის ძალითაც უმამულო და ძველადგანვე გადმოსახლებულ ხიზანს «ნადელი» უნდა მიეცეს, თუმცა ამ შემთხვევაშიაც დიდი სიფთხილე უნდა მამულების განაწილების დროს. უმთავრესი ყურადღება იმაზედ უნდა იქმნეს მიქცეული, რომ შეძლებისა-და-გვარად ყველა სანადელო ხიზანი ერთ მხარეს მოექცეს, გადაჭრილი ტყე დაენიშნოთ მათდა სახმარად და სხვა და სხვა ალაგებში ტყის ჩრჩილსავით არ იქმნენ ჩასახლებულნი, რადგან დასამალავი არ არის, რომ ხიზნისთანა უწყალო მტერი ტყეს არა ჰყავს.

ჩვენ არას ვიტყვით იმ ხიზნებზედ, რომელთაც უწინდელ ადგილზედ «ნადელი» აქვთ. შეიძლება მხოლოდ ეს შევნიშნოთ, რომ ახალ ადგილზედ იქნება იმდენი ამაგი ჰქონდეთ დადებული, რომ მათი უმოწყალოდ გაშვება უსამართლობა იქნება და ამის-

«დროების» ფელეტონი ივლისის 3-ს

## პუბლიცისტი ხ—ზ—ი და მისი ქადაგება ზდილობაზედ.

(136-ე №-ის ფელეტონის პასუხად)

«დროების» ერთ წარსულ ფურცელთაგანში იყო დაბეჭდილი ჩემი წერილი «მოღვაწის ხვედრი», რომელშიაც მე ვლაპარაკობდი სოფლის მასწავლებლის ისიდ. ჰიჭინაძის სიკვდილზედ და მის ოხრად დამარხვაზედ. ვისაც კი წაუკითხავს მოხსენებული წერილი, ვგონებ, ეხსომება, რომ მის დედა-აზრს შეადგენდა შემდეგი: «სასირცხვილოა, რომ პატიოსანი მოღვაწე ოხრადა კვდებოდეს და იმარხებოდეს იმისთანა ადგილას, სადაც სცხოვრობს არა ერთი ადამიანი, რომელსაც თავისი თავი განათლებულ კაცად მიაჩნია». ამ წერილის გამო «დროების» № 136-ში დაიბეჭდა შენიშვნა, რომლის ავტორი ჯერ გველაპარაკება მასზედ, თუ რა არის ლიტერატურული ზდილობა და რას უნდა აქცევდენ ყურადღებას მწერლები ერთმანეთთან შეკამათების დროს. «ჩვენს ლიტერატურაში, იმის აზრით, ჯერ სრულიად არ ყოფილა მაგალითი «ლიტერატურული ზდილობისა, გულწრფელის მსჯელობისა, პრინციპიალური ბრძოლისა, რომელიც გამოიწვევა ხოლმე ლიტერატურული რწმენით, ლოგიკურის და ფილოსოფიური მოსაზრებით. ნაცვლად ყველა ამისა მასში აქამომდე პარპაშობს მხოლოდ ერთი ბაშიბუზუყური პირადობა და ჭორიკანული ანგარიშები". დასამტკიცებლად ამ ზოგადის აზრებისა, იგი უჩვენებს მოხსენებულს ჩემს წერილზედ და ბრძანებს: «მოღვაწის ხვედრი» თუმცა ოსტატურად არის დაწერილი, მაგრამ მასში პირადი ანგარიშების მეტი არა არის რაო... სხვა კერძო აზრებს და სიტყვებს, რომლებითაც შენიშვნის ავტორი სწორედ რომ სამაგალითო ლიტერატურული ზდილობიანობით ასეთის გულ-უხვობით გვამკობს, შემდეგ მივაქცევ ყურადღებას. ჯერ კი საჭიროდ ვრაცხ მოვაგონო ზდილობიან ავტორს ორიოდ საანბანო ჭეშმარიტებანი, რომლებითაც უნდა ხელმძღვანელობდეს ყოველი პატიოსანი კაცი სხვის სიტყვის, ანუ ნაწერის გარჩევის დროსა. როგორც, უეჭველია, თქვენც მოგეხსენებათ, ჩემო ბატონო, თხზულების უმთავრესს მხარეს, მის ავლა-დიდებას შეადგენს დედა-აზრი, რომლის წარმოსათქმელადაც არის ეს თხზულება დაწერილი. ფაქტები, რომელთაც მწერალი ხმარობს ამ დედა-აზრის გამოსახატავად, ენა და კილო, რომლითაცა სწერს იგი თვის თხზულებას, სხვა-და-სხვა აღწერილობათა სურათები, რომლებითაც შემკულია იგი,—ყველა ესენი შეადგენენ თხზულების მეორე ხარისხოვან გარემოებათ. ამიტომაც ამ თხზულების განხილვის დროს პატიოსანმა მწერალმა თვისი უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციოს მის იდეიას, დედა-აზრს. ეს უნდა დარბაისლურად განიხილოს და თვისი განათლებულის გონებით აწონოს მისი ავ-კარგიანობა: პირუთვნელის მსჯელობით ან დაამტკიცოს სიჭეშმარიტე მისი და მიიღოს, ან არადა, უჩვენოს მისი უსაფუძვლობა, უვარგისობა და უარ-ჰყოს იგი. თვით უბრალო წერილის განხილვის დროსაც კი საჭიროა, რომ მოხსენებულის შეხედულობით ხელმძღვანელობდეს ყოველი კაცი, თუ კი ამ ბატონში მოიპოვება რაიმე ჭკუა და პატიოსნება და წერილში რაიმე დედა-აზრი. როგორცა სჩანს, ზდილობის მქადაგებელ ავტორს ფიქრადაც არ მოსვლია ეს უბრალო აზრი, როდესაც ჩემი ფელეტონის შესახებ სწერდა. დედა-აზრს ის თითქმის უყურადღებოდა სტოვებს, ალბად იმიტომ, რომ მის წინააღმდეგ დაბეჯითებით რისამე თქმა ვერ მოუხერხებია უამისოდ ენა-გრძელ ავტორს. მხოლოდ ორიოდ ლიტონ სიტყვასა ბრძანებს ამ საგნის შესახებ და იმ საცოდავებსაც თავსა და ბოლოში მოსმული ხაზებით თითქო თითს უქნევს და ეუბნება: ჩუმად იყავით, არავინ დაგინახოთო!.. მაგრამ მოითმინეთ, თქვენა ბრძანებთ: არავისთვის შეგიტყობინებიათ ისიდ. ჰიჭინაძის გარდაცვალებაო. ვნახოთ... ხეირიანად აღარ მახსოვს: მაისის 16-ს თუ 17-ს ზორის ბაღში თავი მოეყარა აქაური ახალგაზდობის ერთ ნაწილს და სიამოვნებით ყურს უგდებდა ერთ ძვირფასს სტუმარს, რომელსაც შემოხვევოდენ გარშემო. მე მივედი მათთან და საყოველთაოდ ხმა მაღლა წარმოვსთქვი შემდეგი სიტყვები: ერთი სოფლის მასწავლებელი უპატრონოდ გარდაიცვალა დღეს გორში; თუ შეიძლება, თითო ოროლა გროში შევაგროვოთ და დავმარხოთ განსვენებული... ამ სიტყვებზედ ყველამ თავები აქეთ-იქით მიიღეს, მხოლოდ ერთმა ამოიღო ხმა და მანაც ცივადა ბრძანა: ცოცხლებს უჭირთ და მათ არავინ აძლევს შემწეობას: მკვდრებს რაღა გროშები უნდათო... იქ ვისხედით არა ნაკლებ რვა ახალგაზდასი და, თუ საჭიროდ გამოჩნდა, მათ პიროვნებათ დავასახელებ კიდეც. იმედი მაქვს, რომ არც ერთს მათგანს ჯერ არ ექნება დავიწყებული მაშინდელი ჩემი სიტყვები და თავიანთ მჭევრმეტყველური მდუმარება. ამათ უნდა დავუმატოთ არა ნაკლებ ათის განათლებულის კაცისა, რომელთაც იცოდენ გარდაცვალება ახალგაზდა მოღვაწისა; მომეტებული ამათგანი იცნობდა კიდეც განსვენე-

თანა კერძო შემთხვევა უყურადღებოდ არ უნდა იყოს დატოვებული. რაც შეეხება იმ ხიზნებს, რომელთაც არსად ფეხ-მოსაკიდებელი ალაგი არა აქვთ და ბედმა ისე დასაჯა, რომ ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ უცვლიათ ალაგი, ამათაც, ჩვენის აზრით, რაიმე შეღავათი უნდა მიეცეთ და არ იქმნენ ერთად ჩარიცხულნი იმ ხიზნებთან, რომელთაც იმ ადგილს, საიდამაც გადმოსახლებულან, ბინა მოეძევებათ რამე. როგორი იქნება ეს შეღავათი, „ნადელი“ მიეცემათ, თუ გადაჭრილი გადასახადის მიცემა დაევალებათ, ეს ადვილი გარდასაწყვეტია, თუ კი უმთავრეს საგნად დაიდება, რომ კანონი არ უმართავდეს ხელს ბოგანო და უმიწა-წყლო ხალხის გამრავლებას.

## შინაური ქრონიკა.

═ ჩვენ შევიტყვეთ, რომ „დრამატიულ საზოგადოების“ ახალს მმართველობას წარსულის კვირას სხდომაზედ გადაუწყვეტია რომ უარი სთქვას თავის თანამდებობაზედ.

მომავალ ხუთშაბათს დანიშნულია ახალი საზოგადო კრილობა «დრამატიულის საზოგადოების» წევრთა, რომელთაც ხელ-ახლად უნდა აარჩიონ მმართველობის წევრნი, რომელთ საგმირო ზნეთა შორის უკუქცევა და ლტოლვა არ უნდა მოიხსენებოდეს.

═ ჩვენ დაგვარწმუნეს, რომ პატივცემულს ღრმად სწავლულს პროფესორს ბ-ნს პეტრიაშვილს შეუმუშავებია სრულიად ყველა საქიმიო ტერმინები და ადგენს პირველ-დაწყებითის ქიმიის სახელმძღვანელოს ქართულს ენაზედ, რომლის დაბეჭდვას ქიმიის პატივცემული პროფესორი ავალებს «წერა-კითხვის საზოგადოებასაო».

ჩვენ გვგონია, რომ «წერა-კითხვის საზოგადოება» დიდის სიამოვნებით იტვირთებს ამ მინდობილობის შესრულებას, როცა იგი მას მოუვა.

═ ერთმა პატივცემულმა პირმა გვიამბო, რომ მეფე Iრაკლის თოფი, რომელიც კახეთის თავად-აზნაურობამ 2000 მან. იყიდა და განსვენებულს კავკასიის სახელოვანს გმირსა და მთავარმართებელს თავადს ბარიატინსკის მიართვა, როცა მან შამილის წინააღმდეგ ლაშქრობა დაამთავრაო, დღეს ამ თოფის მფლობელს განუზრახავს ისევ საქართველოს დაუბრუნოს და საყვარელი მეფის ნაქონი ნივთი ისევ საქართველოს შვილთ ინახულონ ხოლმე სასწავლებლად და საგულისხმიეროდ.

ჩვენის აზრით, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ მუზეუმში მისი ნახვა არც ყველას შეეძლება და უფასოდაც არ მოხერხდება, უმჯობესი იქნება, რომ ამ გვარი, წმინდა ქართულის მნიშვნელობის მქონე ძველი სახსოვარი შეწირულ ექმნას «წერა-კითხვის საზოგადოების» ბიბლიოთეკას, სადაც იგი დაცულიქმნება მრავალ ძვირფას ხელ-ნაწერთა და მანუსკრიპტებთან ერთად ცალკე ვიტრინაში.

═ ბათუმიდამ იწერებიან: „ამ დღეებში ერთმა ტელეგრაფისტმა მახარაძემ ქუჩაში რევოლვერით მოკლა ერთი კაცი. მკვლელი საპატიმროშია. რადგანაც ამ საქმის ნამდვილი მიზეზები არ ვიცით, ამიტომ ჯერ-ჯერობით ამის მეტს ვერას ვიტყვით ამ მკვლელობაზე“.

═ ასეთ გრილ დღეებს შუა-ზაფხულში ბევრი არავინ მოსწრებია. ეს რამდენიმე ხანია, Tბილისში ცივი ქარი ისე განუწყვეტლივ ზუზუნებს, თითქო ნოემბერი დამდგარიყოს და ღამ-ღამე საკმაოდ ცივა. საზაფხულოდ გასული ხალხი თურმე ძალიანა ნანობს ასე ადრე აბარგებას.

═ პარასკევს, ივნისის 29-ს, სოხუმისკენ გაემგზავრა ერთი პარტია ფილოქსერის კომისიისა იქაური ვაზების დასათვალიერებლად. პარტიაში არიან როგორც აგრონომები, ისე ამ საქმეში გამოცდილი შეგირდები და სრულიად გამოუცდელებიც.

## «დროების» კორესპონდენცია.

უკანა-მხარი (სიღნაღის მაზრა), ივნისის 25-ს. ჩვენებური გლეხები და საზოგადოდ მიწის მუშა ხალხი ამ ჟამად დიდის იმედებით არის მოცული; თუ ეს იმედები სეტყვამ და სხვა ამ გვარმა ბუნების მოვლენამ არ გაუცრუა, მალე სიხარულად გარდაექცევათ.

მე მოგახსენებთ წრევანდელ მოსავალზე: როგორც მინდვრის მოსავალი, ე. ი. პური, ქერი, ფეტვი, სიმინდი, ბალახი და სხვა, ისე ვენახის მოსავალი ერთობ მშვენიერია, ისე მშვენიერი, რომ თვითონ გლეხი სურათულად ამბობს: «მოსავალი ისეთია, რომ ავ თვალს არ ენახვებაო». მართლაც, რომ ავს თვალს არ ენახვება: ოქროს ფერი ყანები ისე საუცხოვოდ ბიბინებენ და ისე სასიამოვნოდ ღელავენ, რომ კაცს თვალი ვერ მოუშორებია მათთვის. პატარძალივით მორთული ყანები სასიამოვნოდ გამოიცქერიან და ელოდებიან თავიანთ მხიარულ მაყრებს «ჰოპუნასა» და გაფიცხებულს მზეზე მოელვარე ბასრ ნამგლებს.

ახლა წინა-მხარს შუა — მკაში არიან და უკანა-მხარში კი ქერები მხოლოდ ეხლა იჭრება. მკა მეტად ნელის ნაბიჯით მიდის, რადგანაც ხშირი წვიმები ხელს უშლიან მუშა ხალხს. საქონლისათვის გათიბულს ბალახს წვიმა ასველებს და არ აცლის მუშას

---

ბულს, მაგრამ მის დასაფლავებას არც ერთი მათგანი არ დაესწრო. გარდა ყველა ამისა, ერთმა ახალგაზდამ სამს განათლებულს პირს კარ-და-კარ ჩამოუარა დასაფლავების დღესა, შეატყობინა მოხსენებული მასწავლებლის სიკვდილი, მაგრამ, სხვა-და-სხვა მიზეზების გამო, არც ერთს ამათგანსაც არ გაუდგავს ფეხი სასაფლაოსაკენ. ახლა მიბრძანეთ, ბატონო მქადაგებელო ლიტერატურული ზდილობისა, სცოდნია თუ არა ბორის განათლებულ ახალგაზდობის უმრავლესობას მოხსენებული მოღვაწის გარდაცვალება?.. გარემოებანი აჩვენებენ, რომ სცოდნია და ეს უკანასკნელი, ვგონებ, არც თქვენთვისა ყოფილა დამალული, რითიც აიხსნება ის თქვენი ენა-მოკლეობა, რომელიც ჩემი წერილის დედა-აზრის შესახებ გამოიჩინეთ. ამ ნაირად იდეია ამ წერილისა ხელ-უხლებელ ფაქტად რჩება; საქმეც უმთავრესად ამაში იყო... მაშ, გავწიოთ წინ და ვეწვიოთ ახლა ჩვენს სახელოვან რეინეკეს თვისსავე მრავალკარიან სოროში!

***

სწორედ გასაოცარია ზოგიერთა ჩვენი ვაჟბატონების საქციელი... უსათუოდ და უეჭველად ლიტერატორობა უნდათ!. მაგრამ, რადგანაც ლიტერატურის მეუფეს მათთვის შემოქმედობითი ძალის ფეხთა-მტვერიც არ მიუბერტყნია, ამის გამო ყურებს გვიჭედენ ბურსაკული კომპილიაციებით, სხვებისგან მშვენივრად წარმოთქმული აზრების უხეირო ლეჭვით, ლათინური და ფრანცუზული ბრალიანუბრალოდ წამოჩხირული ფრაზებით და ჰგონიათ, რომ დიდ რამეს უკეთებენ სამშობლო ქვეყანას, რომელიც მათს ბურჟუაზულ ფანტაზიაში მწველელი ძროხის სახით არის გამოხატული. ამის შემდეგ, ისინი მოკაკულს წელს ისწორებენ, ჩალუნულ თავს მაღლა იღებენ, ფოფხდებიან სამწერლო ასპარეზზედ და იქიდამ მოხუცებული ნიკორა კამეჩივით უხეიროდ ლეჭავენ ნანახს, გაგონილს და დაძველებულს. სწორედ ამგვარად იქცევა დიდებული ავტორი ყველგან და ყველასგან ცნობილ „სახალხო განათლების საფუძვლებისა“. ვგონებ, მკითხველს ეხსომება აგრეთვე ამ წლის «Iვერიის» თებერვლის წიგნში დაბეჭდილი ამავე ავტორის წერილი, სადაც გადამთიულურის კილოთი, უხეირო ქართულის ენით უსიცოცხლოდ არის დალეჭილი ის აზრები და შეხედულებანი, რომელნიც I. სიმონიძემ წარმოსთქვა თვის საუცხოვო სტატიაში («რანი ვიყავით გუშინ»). დღეს ეს სახელოვანი გმირი თვისი მოცვეთილი კბილებით მივარდნია ნიკო ნიკოლაძის აზრებს, რომელნიც იყვნენ გამოთქმულნი «კრებულში» მოქცეულს ერთს წერილში («ჩემს პიროვნებაზედ») და, თავზარ-დაცემული კაცის გულის ფანცქალით, საცოდავად ლეჭავს მათ. აიღეთ, ჩემო ბატონო, მოხსენებული წერილი ჩვენის ნიჭიერის პუბლიცისტისა, ერთი კიდევ წაიკითხეთ და დარწმუნდით, რომ თქვენგან ნალეჭი აზრები შესახებ მწერლის პიროვნებისა და ლიტერატურულ პირადობისა დიდი ხანია წარმოითქვა უფრო ვრცლად, უფრო გონივრულად იმ ლიტერატურაში, რომელსაც სწორედ რომ გასაოცარის სითამამით და აღვირ-აწყვეტილობით ჰგმობთ თქვენა!. ნუ თუ მართლა ჩვენი ლიტერატურა ისე განხრწნილია, ისე წყალ-წაღებულია, რომ მასში ნაცვლად „პიროვნული მსჯელობისა, პრინციპიალური ბრძოლისა, ფილოსოფიურ მოსაზრებათაგან გამოწვეულის ბაასისა, სუფევს მხოლოდ ერთი პირადობა, ჭორიკანაობა და სხვა არაფერი?. არა, ჩემო ბატონო!.. საქმე არც ასე უნუგეშოა!.. ეს თქვენი სიტყვები არიან შედეგნი ან თქვენის უცოდინრობისა, ან ქონდრის-კაცურ თავმოყვარეობისა და ანაც იმ ცხარე ლიტერატურული მათრახისა, რომელიც ამ წინაზედ გადმოგაწნეს თქვენ და მით სრულიად აგიფუტკნეს ჭკუის დავთრები!. ძრიელ შორს რომ არ წავიდეთ, მე დაგისახელებთ რამდენსამე ნაწერებს, რომლებშიაც ვერ იპოვნით ვერც იოტის ტოლა პირადობას, ვიწრო თავმოყვარეობის ანგარიშებსა და რომელნიც სავსენი არიან იმ ელემენტებით, რომელთაც თქვენ, სახელოვანი ლამანჩელი აზნაურის გაბედულობით უარსა ჰყოფთ ჩვენს ლიტერატურაში. აიღეთ ჟურნალი „მნათობი“ და იპოვნეთ მასში დაბეჭდილი კრიტიკული წერილი ანტ. ფურცელაძისა შესახებ პატივცემულ დიმ. ბაქრაძის «საქართველოსი». ბადაშალეთ ჟურნალი „კრებული“ და წაიკითხეთ ნ. ნიკოლაძის მშვენიერი განხილვა Iლია ჭავჭავაძის «გლახის ნაამბობისა». ჩახედეთ ჟურნალ „Iვერიაში“ და გადაათვალიერეთ ნ. ხ — ვის სტატია, რომელშიაც გარჩეულია ერთი ნაწილი Iლ. ჭავჭავაძის „ცხოვრება და კანონისა“. მოიგონეთ გაზეთ «დროებაში» დაბეჭდილი ბ. ქურდღელაშვილის კრიტიკული განხილვა I. გ — ის «საყმაწვილო კონისა» და ბოლოს, გთხოვთ მიაქციოთ თქვენი ყურადღება ამ ერთი თვის წინად გაზ. „დროებაში“ დაბეჭდილს დიმ. ბაქრაძის მეცნიერულ სტატიას პროფ. პატკანოვის წინააღმდეგ... *) ამგვარი ფაქტების ჩამოთვლის გაგრძელება ძრიელ ადვილია, მაგრამ, ვგონებ, ესენიც საკმარისნი არიან გასაფანტავად იმ უსაფუძვლო ფრაზებისა, რომელნიც ვ. ხ — ზ — მა წარმოსთქვა სამშობლო ლიტერატურის შესახებ. თქვენ რომ ჩვენი ლიტერატურა არ იცოდეთ, ან მასზედ ბაასის დროს რომ სხვაგვარი ანგარიშებით ხელმძღვანელობდეთ, ვისი რა ბრალია — ჩვენი გლეხისა არ იყვეს — შე მადლიანო?.. მაგრამ საქმე მარტო ამ უცოდინრობასა და ან-

*) დიდადა ვწუხვარ, რომ ამ დასახელებული ჟურნალ-გაზეთების წიგნები ამ ჟამად ხელში არა მაქვს და ამისგამო პირ-და-პირ წიგნებსა და სტრიქონებზედ ვერ ვუხვევნებ.

ავტ.

დროზე დაბულულოს (ზვინებად დადგას) და შინ მოიტანოს მშრალად. რამდენჯერმე უნდა გაშალონ დაბულულავებული თივები, ხელ-ახლად გააშრონ და ისე მოიტანონ შინ. წელს ისე ბევრი თივა გაითიბა, რომ იგი საკმარისია მეორე წელიწადსაც, თუ რიგიანად გაუფთხილდენ. საზოგადოდ ყველაფრის მოსავალი ეხლა უხვი მოგველის; ვენახებსაც წელს კარგი პირი უჩანთ; საქონელიც ღონივრად არის, რადგანაც ბალახი ერთობ კარგია და ბევრი; რაც კი წლევანდელ სუსხიან ზამთარს გადურჩა, ახლა კარგს ფერზეა.

წვიმა თუმცა საჭირო აღარ არის, მაგრამ მაინც ხშირ სტუმრობას არ გვიშლის; თითქმის ყოველ დღე გვესტუმრება ხოლმე, ხან-დის-ხან ისეც, რომ სარგებლობის მაგიერ ზარალს გვაძლევს. ამ ერთი კვირის წინად ისეთი დიდი წვიმა მოვიდა, რომ ჩვენი პატარა მდინარე, რომლის ხსენება ზაფხულში თითქმის ჰქრება, ისე ადიდებულიყო, რომ უკან დაბრუნებული ფოსტის ტროიკა და მასზედ მჯდომი ბიჭი მოეტაცნა ამ მდინარეს და სრულიად დაეღუპნა; ორი-სამი ვერსის ქვეით ეპოვნათ დამხრჩალნი ბიჭი, სამი ცხენი და დამტვრეული პოვოზკა.

ჩვენდა საუბედუროდ, სმერჩის (смерчь) მგზავსი რალაცა მოვლენა გვეწვია. ამ ორი კვირის წინად სოფელ ნანიანში სამხრობის დროს ჩამოეშვა თურმე ორი ღრუბელი თითქმის პატარა ბოძის სიმსხონი. ჯერ ჩამოეშვა ერთი ღრუბელი საზარელის კლაკნით, როგორც გველი. დაეშვა ერთს სახლზედ, უცებ მოჰგლიჯა სახურავი და სულ მტვრად აქცია. დაეფრინდა ახლა მეორე სახლს და იმასაც ის დღე დაჰმართა, გაურბინა ახლა ახლო მდგომ კაკლის ხეებს და მუხებს და სრულიად ძირიანად დაგლიჯა და ისე ისროდა, როგორც ნაფოტებს. მეორე ღრუბელი ჩამოეშვა ცოტა ქვევით და დაეცა იქ მდგომ კაცებს და გადისროლა უცებ ერთი გზიდგან მეორეზე, როგორც ბურთი. აქეთ მოიტაცა კრუხი თავის წიწილებით და რა უყო მათ, ახლაც არ იციან პატრონებმა. ერთი სიტყვით, დიდად შეაშინა და შეაძრწუნა ამ არაჩვეულებრივმა მოვლენამ ხალხი. ცრუმორწმუნეებს და დედა-კაცების ჭორებს მიეცათ მასალა სხვათა შორის ამ მოვლენითაც.

მე ვკითხე ზოგიერთ მოხუც კაცებს, იქნება ახსოვთ, ამ გვარი რამ მოვლენა ყოფილიყოს ჩვენს ქვეყანაში როდისმე-მეთქი და მიპასუხეს რომ, არამც თუ არ გვინახავს, სმენითაც არა გვსმენია-რა ამ გვარ უბედურებაზედაო. ღმერთმა ნუ ქნას, რომ კიდევ მოგვევლინოს ეს ღვთის რისხვა, — პირჯვრის წერით ლულლულებენ ისინი შეშინებულნი და გაოცებულნი.

ი. ზიარელი.

# ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

ივნისის 30-ს.

ლონდონი. აქ მოვიდა რუსეთის საფინანსო წარმომადგენელი ხიტროვო და დაესწრო კონფერენციის საფინანსო წარმომადგენელთა გუშინდელს კრებაზედ.

პარიჟი. გაზეთების ცნობებით, ჩინეთის ელჩმა ლი-ფონ-გო-აომ წინადადება მისცა, ჩინელთ ტონკინი საჩქაროდ დასცალონ და განაცხადა, რომ ჩინეთს სამართლიანად მიაჩნია საფრანგეთის მიერ დასაჩუქრების მოთხოვნა, მაგრამ სურს, რომ თვითონ გადასწყვიტოს — რამდენი მისცეს.

ბადენი. ის კრება, რომელიც ჰქონდა აქ რუსეთის და ავსტრო-ვენგრიის სარკინის-გზო კავშირს, დაიხურა; ამ კრებამ ვერა გადასწყვიტა-რა იმის შესახებ, თუ როგორ გაუთანასწოროს ტარიფი რუსეთის და გერმანიის ტარიფებს, მაგრამ კომისია კი დანიშნა იმის განსახილველად, თუ რამდენად შეიძლებს კარლ-ლუდვიგის გზა გაუწიოს ცილობა იმ რუსეთის გზებს, რომელნიც სამზღვრისკენ მიდიან. რუსეთის პურის ბოგემიაში ტრანზიტით გატანის შესახებ სახეში აქვთ მოაკლონ ცოტაოდენი ნაწილი იმ ფასს, რომელიც ავსტრიის გზებსა ხვდება. შემდეგი კრება მიწვეულ-იქმნება პეტერბურგში 1885 წ. თებერვალში.

ჩიკაგო. დემოკრატთა კრებამ შეერთებული შტატების პრეზიდენტის კანდიდატად კლეველანდი ამოირჩია.

ტულონი. გუშინ დილას აქეთ აქ მოკვდა ხოლერით 30 და მარსელშიაც 68 კაცი.

ივლისის 1-ს.

პეტერბურგი. იმის გამო, რომ სამხრეთ საფრანგეთში ხოლერაა, შინაურ საქმეთა სამინისტრომ ჯერ ისევ ივნისის 16 და 19 განკარგულება მოახდინა, რომ საჩქაროდ აღადგინონ ის სანიტარულნი და საკარანტინო საშუალებანი, რომელნიც ხმარობდენ შარშან, როდესაც ეგვიპტეში იყო ხოლერა. ამ განკარგულებით ყოველი გემი, რომელიც საფრანგეთის რომელიმე საეჭვო მხრიდან მოდის

---

გარიშებში არ არის!. თქვენ გაკლიათ, ჩემო ბატონო, ის, რაზედაც დღეს ასე თავგამოდებით ლაპარაკობთ: გაკლიათ ლიტერატურული ზდილობა და არა მხოლოდ ამგვარი ზრდილობა, არამედ თვით უბრალო, „საყველ-პურო“ ზრდილობასაც კი მოკლებული ბრძანებულხართ. ინებეთ ამის დამტკიცება.

***

როგორათაც კერძო პიროვნებისათვის, ისე სრულიად საზოგადოებისა და ხალხისათვის უძვირფასესი საუნჯეა საზოგადოდ გონივრული ზრდილობიანობა. ვის არ შეხვედრია ადამიანი, სავსე ბევრგვარი მაღალის ღირსეულებით, მაგრამ მოკლებული ხალხთა შორის ურთიერთობის უსაჭიროესს საშუალებას — ზრდილობიანობას და ამის გამო ფრთებ შეკვეცილი და კისერ-მოტეხილი ცხოვრების დაუნდობელ ასპარეზზედ. თუ პიროვნებათა შორის ზრდილობა ასეთი საჭიროა, ამაზედ ერთი ათად და ერთი ასად უფრო საჭიროა ლიტერატურაში, რომელსაც საგნადა აქვს ყოველნაირი გაუმჯობესობა ადამიანის არსებისა და ცხოვრებისა. როგორც სჩანს, ჩვენს ავტორსაც ყური მოუკრავს ამ საგნისათვის და მოუწადინებია მასზედ ბაასი. ლაპარაკობს (რასაკვირველია, ზოგადი, განუმარტავი ფრაზებით) და იმას კი ვერა გრძნობს, რომ ამ თავის ლაპარაკით თვითონვე იტყაპუნებს ორთავე ხელებს თავსა და პირში. მოისმინეთ, რა ლიტერატურულ ზდილობას იჩენს ჩვენი ვაჟ-ბატონი! «მთელი ფელტონი — ამბობს იგი ჩემს წერილზედ — ოსტატურად მორწყულია ნაძალადევი ცრემლით, ყველა სტრიქონიდამ მოისმის სულის კვნესა და გულის წუხილი; მაგრამ, როდესაც ამ ფსიხოლოგიურ მოვლენას აკვირდებით, თქვენ უნებურად გაგონდებათ ერთი სულ-დგმული, რომელსაც თბილისიდამ «მოსკოვის უწყებაში» ამოუყვია თავი და ამ ორგანოში, ვინ იცის რისთვის, კვნესის და ჰგოდავს და ამასთანავე სდევნის კიდეც ახალ-გაზრდობას.» ყოველი სიტყვა ამ ამოწერილისა ლიტერატურული ბაშიბუზუყობაა, გმობაა სულ უბრალო ზდილობისაც კი! ვინ მოგანიჭათ, ბატონო ზდილობის მქადაგებელო, უფლება სხვის სულსა და გულში ხელების ფათურისა?.. ვგონებ, შეუძლებელია კალმა წარმოიდგინოს იმაზედ მეტი სულის სიმდაბლე და გონების სივაგლახე, როდესაც თქვენს საქციელს, თქვენს სიტყვას კი არ აქცევენ ყურადღებას, არამედ ინკვიზიციურ ჯაშუშების მსგავსად მათს ფსიხოლოგიურ სინიდისსა და შინაგან არსებაში ჩამალულ მიზეზთა გამოჩხრეკას მოიწადინებენ და ხმა-მაღლა, საჯაროდ დაიწყებენ მათზედ ლაპარაკს!.. ამათ ჭკუა-გონებას როდი აწუხებს ის აზრი, რომ ამ გვარი ნალაპარაკევის დამტკიცება ყოვლად შეუძლებელია!.. ვგონებ, ვისაც კი წაუკითხავს ერთი ფურცელიც არის დასახელებული რუსული გაზეთისა, ის ცხადად დაინახავდა, რომ ამ გაზეთის ერთს უმთავრესს თვისებას, მის რედაქციის ზნეობითი ვითარების ქვა-კუთხედს შეადგენს ჯაშუშური რევა ხელებისა სხვათა სულსა, გულსა და სინიდისში..

***

არა მხოლოდ ლიტერატურული ზდილობა აკლია ჩვენს მოკამათეს, არამედ, როგორც ზევითაც მოვიხსენიე, თვით უბრალო ზდილობაც კი არ ესმის მას!.. რისთვის და რის გამო აყენებს შეურაცხებას იმისთანა პირთ, რომელთაც გულ-წრფელი კაცთ-მოყვარეობა აღმოუჩინეს განსვენებულ მასწავლებელს და ამის გამო ორიოდე კეთილი სიტყვა იყო მათზედ ნათქვამი გაზეთში?.. ჩემთანა გაქვს საქმე, მე მელაპარაკე! რა ხელი გაქვს შენ იმ პირებთან, რომელნიც აქ არაფერ შუაში არიან! ან რას ნიშნავენ ეს საშინელი სალანძღავი სიტყვები*), რომლებითაც სავსეა პაწაწკინა შენიშვნა, თუ არ მათი მხმარებელის უკიდურესს უზდელობას? ხომ მოგეხსენებათ, რომ ლანძღვისთანა ადვილი არაფერია და, მაშასადამე, მეც შემიძლიან მოგდგე და — ბერინგი არ იყვეს — ანბანის ყოველ ასოზედ თითო დღუჟინი სალანძღავი სიტყვები მოგაყაროთ! მაგრამ რა გამოვა აქედამ? სრულიად არაფერი, გარდა იმისა, რომ ჩემს პირს მევე გავსვრი და საჯაროდ გამოვაჩენ ჩემი ჭკუისა და სულის სისუსტეს და სივაგლახეს... ან კი რა მოხდა იმისთანა, რომ ამ გვარი სიტყვების ხმარება საჭიროდ დაუნახავს ჩვენს მოკამათეს?.. იმას რომ ყური დავუგდოთ, ლიტერატურული ზდილობა დამირღვევია და რადგანაც თვისი თავი ამ ზდილობის მცველ რაინდად მიაჩნია, ამიტომაც გამოსულა სალიტერატურო მოედანზედ. მკითხველი, ვგონებ, ცხადად ხედავს, რომ ეს გარემოება ტყუილად არის აქ წამოჩხირული!.. ვინც ყოველ სტრიქონში თამამად არღვევს ამ ზდილობის სულ უბრალო წესებს, ის, რასაკვირველია, მის გულ-წრფელ მფარველად არას დროს არ ჩაითვლება!.. მიზეზი აქ სრულიად სხვაა და აი რა: «მოღვაწის ხვედრში» ერთი მათრახი გავიქნიე „სალოდავ, ორპირ და მშიშარა მწერისაკენ“. ნათქვამია ზურგ-წამხდარი ცხენი ზეცას კაკაჰს დაინახავსო! სწორედ ამ ცხენსავებ მოუვიდა ბ. ხ—ზ—საც! „სალოდავ მწერში“ მას თვისი თავი უცვნია და ისე მოხვეწია ზურგი ამ მათრახით, რომ ჭკუის დავთრები სულ ერთმანეთში არევია!.. ეხ, ჩვენო ივან ნარეკომოვიჩ! უკაცრავად კი გახლავართ — და სწორედ ნამდვილი მწერი ბრძანებულხართ!..

ნ. ლ.

გორი.
თიბათვის 30.

*) აი ეს სიტყვები: „იუდა ისკარიოტელო“, „იეზუიტო“ „ცოდის-მწამებელო“ «ჭორიკანა» და სხვანი.

Доз. ценз. Тифлисъ, 2 Іюля 1884 г.

შავის ზღვის ნავთ-სადგურებში, ორი კვირის განმავლობაში უნდა ზედამხედველობის ქვეშ იყვეს, თუ გინდ უცხო ქვეყნელ ნავთ-სადგურებში ყოფილიყოს კიდეც იგი ზედამხედველობის ქვეშ; ბალტიის ნავთ-სადგურებში კიდევ ყველა საფრანგეთიდგან მომავალი გემები სასტიკად უნდა ისინჯებოდენ; ამ ნავთ-სადგურებში არ უნდა შემოუშვან საეჭვო ადგილებიდგან მომავალი გემები, თუ მათ მოწმობა არა ექნებათ, რომ უცხო ქვეყნელ ნავთ-სადგურებში ზედამხედველობის ქვეშ იყვნენ. ამას გარდა, შინაურ საქმეთა სამინისტრომ გზათა სამინისტროსთანაც გამართა მიწერ-მოწერა იმაზედ, რომ რკინის გზებზედაც, განსაკუთრებით სამხრეთ-დასავლეთისაზედ, ხმარებულ იქმნან გასაფრთხილებლად სანიტარული საშუალებანი. აღადგინეს აგრეთვე მედიცინური დეპარტამენტის შარშანდელი ცირკულიარი იმის შესახებ, რომ ტყუილი ხმები არ გავრცელდეს ხოლერაზე, და მომზადდენ სანიტარული დაწესებულებანი იმ შემთხვევისთვის, თუ, ვინიცობაა, იმპერიაში მართლა გაჩნდა ხოლერა.

## დროების ფოსტა.

ბ. ნ. დ—ნს. თუ კარგად დაჰკვირვებოდით ჩვენს წერილს, ამ სიტყვებს: «ბრიყვთა სიბრიყვე და უმეცართა საყვედური» თქვენს თავზედ არ მიიღებდით, რადგან ეს სიტყვები სრულიად სხვა გვარ პირთ შეეხებოდა და წერილსაც არ მოიწერებოდით. ჩვენ მკითხველებისათვის საჭიროდ მიგვაჩნია ამ საგანზედ ბაასის გაგრძელება და კრცელი წერილების ბეჭდვა. ამისათვის ნუ დაგვემდურებით, რომ სურვილი ვეღარ აგისრულეთ და თქვენი მეორე პასუხი ვეღარ დავბეჭდეთ.


# განცხადებანი

—

**პირობით** ვიყვანთ **შაგირდებს** ყოველ გვარ სასწავლებლებში მოსამზადებლად

**გიორგი იოსელიანი.**

ადრესი: მიხაილოვის ქუჩა, ზეტცერის სახლებში. № 140. (3—2)

**ინგლისური რკინის კროვატები**



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-თ უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაის და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფადნოსი, დასადგმელი, პირისსაბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწყაო, სვები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის საფხეკები, უნაგირები კაცისა და ქალისა; აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალო მაკრატლები, ვაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიჟები, ზაარიადები, გასიულები, ხათფანგები, ნიჩბები, კატერპრუფი, საზნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიტიკონები და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156-157, 158, 159, და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—31)

# ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— ,, |
| — — 1—80 | — 2 — 50 |
| საუკეთესო 2—,, | — 3 — ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასადებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცისა და ქალისა, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—44)

გამოვიდა და ისყიდება:

**განკიცხული**

მოთხრობა

ა. მ. მოჩხუბარიძისა (ყაზბეგისა)

ფასი ათი შაური.

ისყიდება: თბილისში, «დროების» რედაქციაში და შავერდოვის წიგნების საავენტოში.

ქუთაისში. ჭილაძის მაღაზიაში.

თელავში. ბ. როსტომაშვილთან.

ფოთში. ბ. ხუმარაძის მაღაზიაში.

**გომაზეი! გომაზეი!! გომაზეი!!!**

ფაბრიკის ფასად იყიდება ინგლისის მაღაზიაში, არწრუნის ქარვასლაში. იქვე ისყიდება 30%-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: დასაკეცი სკამები, სტოლები და კრაოტები; კლიონკა, ჩულქები და წინდები; ბისკვიტები კაკაო და შოკოლადი; პორტსიგარები, ბუმაჟნიკები, ჩოთქები სხვა-და-სხვა გვარი; თოფები რევოლვერები და უნაგირები. ნიჩბები, ხაფანგები და ბარები ანუ წერაქვები; პირველ მოკრეფილი ჩაი და სხვა ამგვარი. (10—10)

ინგლისის მაღაზიაში,

თმის-ამომყვანი



ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—43)

მაკ-მასტერი

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან., სხოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

ვაჭრობა სალებავებით

კავკასიის ამხანაგობისა (გრაფის ქუჩა მუზეუმის პირდაპირ.)

**სალებავები** ხმელი და თხელი შეზავებული ზეთით.

**ლაქი** ზეთიანი და სპირტისა, სხვა-და-სხვა გვარი **ხანგალი** (კისტი) და ყოველნაირი კუთვნილებანი სალებავით ვაჭრობისა—აქვე შეიძლება იშოვონ ერთგვარი **თხელი ნივთიერება**, რომელიც სინოტიეს აცილებს თავიდამ. ხე, ქვა ანუ აგური, ამ ნივთიერებით დაფარული (Enduit hydrofuge)—მიუკარებელია სინოტიესათვის.

სხვა ქალაქებიდამ მოთხოვნილებანი კმაყოფილდებიან დაუყოვნებლად. (70—19)


## მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 ივლისიდამ 1 აგვისტომდე 1884 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა— | —1 | გირ. | 5 კ. |
| აჭარის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| მეორისა— | —1 | გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი: | | | |
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორისა— | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა— | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| ჭვავის-მამი პური: | | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა— | —1 | გ. | 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორისა— | —1 | გ. | 7 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 8 კ. |
| ღორის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | — კ. |
| მეორისა— | —1 | გ. | — კ. |

## რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით

თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.

ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდამ დ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.

მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

Доз. ценз. Тифлисъ, 2 Іюля 1884 г. სტამბა არ. კალანდაძისა და ამხ. გამომც. გ. ქართველიშვილი. რედ. ი. მაჩაბელი.